

F 2091  
1

16035020  
2004 07000000



ფრილმნ ნაროუბვიჩი




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

F 2091  
1

საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
საბიბლიოთეკო  
სამსახური



ქართული  
საქმიანობა



2677-1562 205

# ფრიდონ ნაროშვილი



## კომკავშირული

პოემა



სახელგაში. 1927.  
თფილისი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს.  
პოლიგრაფიულ  
ტრესტის მე-3  
სტამბა



შეკვეთა № 2290 მთავლიტი 1503 ტირაჟი 2000.



საქართველოს

ლენინელთა

ახორმაკავშირის

მრავალრიცხოვან

ორგანიზაციას

# უკუვნის ამ წიგნს

მისი არსებობის

ათი წლის

თავზე

ავტორი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ნაროუშვილი

## კოეპაკოვირული

### თავბანჯირული გუზაგი

დადექ გაგუბულ ღამის გუშაგად  
ოქტომბრის ალში თავწაგებული;  
გულ გაბრაზებით მუშტებს კუმშავდი  
საზღვარზე, სადაც ცა ანთებული  
ჩვენსკენ მოჰქონდა ზურგით ვარსკვლავებს.

გინდ საქართველო, მაღალ ქედებით  
ყოველ მხრებიდან ადგეს მეტეხად,  
ანთებულ ზეცას ვერ გადუდგები,  
ცა ვარსკვლავებით ჩამოგემტვრევა,  
ან გრივალებით ძალზე იმეხებს.

## გორიას უჯრედი

დახიე წიგნი შულლით მქუხარე,  
მოხუცის სიტყვებს შენ არ უჯერებ,  
დაწაფებულმა გულით ბუხარინს,  
გსურს გააჩინო ცეცხლის უჯრედი.

შენი თვალები ცეცხლის ზღვებია,  
სრულე ბრძოლა ხარ და თავდადება,  
იცი გულიდან ამოყვებიან  
მზეს სხვანაირი განთიადები.

გარშემო დადის შური და მტრობა,  
გზვერავენ თვალნი დაუნდობელნი,  
ფიქრობ: გინდ გული მოგიკლან ტყვიით,  
შენ გამარჯვება მაინც მოგელის.

პირველ უჯრედში ასე მსჯელობენ:  
სპარტაკელთ ცეცხლი თუ რა შარებით  
გადაითესოს ზღვა უჯრედებად  
მზეს მოშორებულ საქართველოში.



ერთხელ, მოხუცო, ცამდი ახვედი,  
ქუხდი ძლიერ და ისე იდიდე;  
ცეცხლში წააგე შენი სახელი,  
ცეცხლში წააგე შენი სიმდიდრე.

მაგრამ რით იყავ ასე მდიდარი? —  
თურმე, მოხუცო, ბნელი საგულე  
გქონდა ღალატით ამოვსებული.

მიწით დამშეულ ქოხის გულიდან  
ამოდის მძაფრი ცეცხლის ზოლები;  
ეს სპარტაკელთა გრიგალებია, —  
გატაცებულნი მტერთან ბრძოლებით.

შენ ციხეების გახდი მგმობელი, —  
სადაც საზღვრები მუხლებს ბორკავენ,  
გული სასტიკი და ულმობელი  
ამავე საზღვრების არის ბორკილი.

დახიე წიგნი შუღლით მქუხარე,  
მოხუცის სიტყვებს არ დაუჯერე,  
დაწაფებულმა გულით ბუხარინს,  
შენ გააჩინე ცეცხლის უჯრედი.

## ჯ ა უ უ უ ი

დაძვრება ვილაც ლამით, თუ დღისით,  
შორი ახლოდან აგედევნება;  
სახლებში დადის აჩრდილი მისი,—  
გაჩნდება უცებ და ითესება.

მაგას საეჭვო ჰქონდა პირსახე,  
სარკე ეჭვების მასში ელავდა,  
შეგხვდა, როდესაც გაექცა სახლებს,  
მზე და, ცის პირი ყვითლად ღელავდა.

განზრახ გადახვალ გზიდან სხვა გზაზე,  
შეხვალ რომელღაც სასადილოში,  
გაჩნდება ისიც და შენს ნახვაზე  
ჩაჯდება, როგორც ლოთი ღვინოში.

გიციდის უჯრედი, სადაც ცეცხლია  
 მოხუცი ქვეყნის გადასაწვავად;  
 ფლანგავ ნაბიჯებს, გზების აცდენით  
 მოდიხარ,—ისიც წამოგეწევა.

ახლა უთუოდ სარკეს აღმაცერს,  
 ისევ სხვა გზაზე დაეთესები;  
 მოხველ ბინაში, ის კი ძალღივით  
 მოსდევს შენს ნაბიჯს, გულ დაგესლილი.

გზაზე დააგდე შენ პაპიროსის  
 ღერო, თითებზე შემოხრახნილი,  
 მან ის აიღო მონაპარივით  
 და ყურადღებით ძალზე გახედა.

შენ ხშირად მტერზე შურისძიებით,  
 გრეხდი პაპიროსს თითებზე ბრაზით,  
 მას შენი კვალი, რომ მოეძია  
 ამგვარ ნამწვავებს ეძებდა გზაზე...

ისევ დაისის ღელავს ცის პირი,  
წამოგეწია მისი იერიც,  
მოდის შენსკენ და თვალში აღმაცერ  
აათამაშა სარკე ცბიერი.

მორჩა! დღედაღამ ასე გეძებდი,  
მითხარ, სად არის კრება ფარული,  
შენ გაქვს უთუოდ ბნელ სარდაფებში  
ცეცხლი საზღვარზე შემოპარული...

მოგაგონდება, ლამით თუ დღისით,  
გინახავს ხშირად, გინახავს გუშინ,  
მისი სალამის გახდი ღირსი და,  
თურმე ყოფილა იგი ჯაშუში.

## ც ი ხ ე უ ი

შენ უმძიმესი გელის სასჯელი,  
რადგანაც საშიშ საქმეს აკეთებ,  
მაგრამ მოხუცი ვერ დაგაჯერებს  
საქართველოში პირველ სპარტაკელს.

შენთვის კომუნა საკაცობრიო,  
უძვირფასესი არის ყველაზე,  
შენთვის საზღვრები დასაგმობია, —  
საზღვრები აღრჩობს ქედებს ყელამდე.

გაწამებს ციხე და გეძაჩიან,  
შენ გამცემი და მოლალატე ხარ,  
სამფეროვანი დროშა გახიე,  
სამფეროვანი გტანჯავს მეტეხი.

დაგმე სპარტაკი, უკეთესია, —  
გპირდება ფულს და ადგილს მოხუცო,  
ანდა ხომ ხედავ როგორ გესევა,  
შენ მატლები და ჭლეჩის ბაცილა.

გამოყევ ცაში შენ შვიდი მოგზაურს,  
შენ გზები გქონდა მთებში სავლელი,  
და კონტრაბანდათ ცეცხლი მოზიდე  
აქ, ვენახების აღმოსავლეთში.

მოვა ჯალათი გეტყვის: სპარტაკი  
დაგმე თუ არა გვიან იქნება,  
ახალგაზრდობის სისხლი სპეტაკი  
მზის ამოსვლამდე დაგედინება.

რა უყოთ მერე, როდესაც გჯერა  
შენ გამარჯვება დილის მზესავით,  
ველარ შეგაკრთობს გინდა მტრის ჯარი  
თოფით ხანჯლებით შემოგესიოს.

ვერ შეაკავენს მზიურ გრიგალებს  
კავკასიონი, ველარც ალპები,  
შენ ფოლადივით უნდა გაგულდე,  
თორემ სხეული მაინც დალპება.

## გადასახლება

მზე ამოიტანს მძიმე განაჩენს  
შორს განთიადებს რეკენ ზარები;  
სიკვდილს როგორღაც გადარჩენილი  
მზის ქვეყანაში მიემგზავრები.

მიხვალ იქ, სადაც ტყვიით დაკბინა  
კომუნარების, მტერმა გულები,  
სადაც მზე ნავთის ზღვაში ბანაობს  
და სუნთქვას ულევ თავისუფლებით.

გამოყევ ისევ, ცაში მოგზაურს,  
გზები გექნება მთებშიც სავლელი  
და კონტრაბანდათ ცეცხლი მოზიდე  
აქ ვენახების აღმოსავლეთში.

ჯალათის თავი უნდა გაგორდეს  
რომ უამრავი მზეები იშვას;  
ცეცხლი სწყურია ქოხებს, მთავორებს,  
ცეცხლი სწყურია ქედებს დამშეულს.



## შემოხვალ ღამით

შემოხვალ ღამით, სახე მცინარე,  
გზა ჯვარედინზე მტერს დაუჯდები:  
საქართველოში როგორც მცენარე  
ამოდის ყველგან ცეცხლი უჯრედის.

ფეთქავს ძალუმად გული ფოლადის,  
იჩენს სიმედგრეს დარიალისას;  
შენ ამ ბრძოლაში მიხვალ ბოლომდე  
მტრის მახვილებითა დანაიარი.

ჩვენივე სისხლის ნაამაგარი  
ქოხები, თქვენვე გაგიხარდებათ;  
საქართველოში ყვავილთ მაგიერ  
ხედავთ, სპარტაკელ ცეცხლით ხარობენ.

ცეცხლით ხარობენ ბნელ ტყეებშიაც  
ხანძარს აჩენენ ღამის მკვლელები;  
აქ ზურგჩალეწილ მთებს შეესია  
რაზმი გულმაგარ სპარტაკელების.

და განთიადი მიწას დაემხო,  
 ტყვიით მახვილით გულგანაბასრი,  
 მთებმა კი მთვარე ამოისროლა  
 მტრის აღმოდებულ ყუმბარასავით.

დილით დახვრეტენ ყაჩაღებივით  
 მტრებში ჩავარდნილ ბორისიანელთ,  
 ნამში სისხლიან თვალებს გააღებს  
 ბალახებ შორის დილა მზიანი.

იხარებს მაინც ყვავილთ მაგიერ  
 აღმოდებული წყება ხარდნების:  
 მოვალთ, და ჩვენი ნაამაგარი  
 ქოხებო, თქვენვე გაგიხარდებათ...

მიწას, მშიერი იგი ელოდა,  
 მტრებთან ბრძოლაში სისხლ მონადენი...  
 მთებში დილამდე ცეცხლი-მღეროდა  
 თავ-გამეტებულ მონადირეთა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## შენ იდეა მაშინ

მზეს ბორკილებათ ერთყა გარშემო  
სისხლით მაძლარი წელთა რიცხვები,  
და გრიგალებით გულ ამომშრალი  
მიჰქონდა ზურგით ცა გარიცხული.

მზემ წაუკიდა ღრუბლებს ცეცხლი, და,  
ცაზე პალმებად ენთო ალები;  
ღრუბელთ კლდეები ჩამოვერცხლილი  
ნისლის კიდეებს აპრიალეზდნენ.

შენ იდეა მაშინ როგორც ყაჩაღი,  
შეგნებულ ცეცხლის აღიარებით,  
გარს აჯანყების გამაჩაღებელ  
ხელში მაუზერს ატრიალეზდი.

## გათენება

ჩქარი სისწრაფით ჩვენი გვარდია  
კლდე და ფოლადი ბორისიანი,  
მრავლდება, და ცის ზღვარ გადმოვლილი  
აქაც ინათებს დილა მზიანი.

სატახტოების დიდ სატახტოში  
ეს გათენება იყო მსოფლიო,  
მაგრამ როდესაც მზეს ჩამოვშორდით  
და საქართველო შემორკალული.

შხამით, წამებით მთების ყელამდე  
ძმობას ითხოვდა,—  
ჩვენ ხელმეორედ  
აქაც დაგვჭირდა ეს გათენება...

შენ მაშინ გმირო, მრავალ ტანჯულო  
მზეს ბორკილები შემოახსელი:  
ჩვენ სახარულით ცამდე ავედით,  
ზღვარი არ ქონდა ჩვენს ამღერებას.

და იცინოდა მთებიც, მდებლოც კი,  
სუნთქავდა რა რიგ ამ ალტაცებით!  
ირგვლივ სიცოცხლით დროშებს არხევდა  
გადმოხურული ცა პლაკატებით.

სდიოდა სისხლი ძარღვების კბენით  
გულმკერდ ჭაღარას, ბრძოლაში მოღლილს;  
რა კარგი იყო მზის ამორბენა,  
ცის მოედანზე რბენა და დოლით!

შენ კი მოხუცო გქონდა მანძილი  
მძაფრ გრიგალების გზებით გადმოვლილს  
ძველ საქართველოს ზურგზე განვლილი  
ქალაქ ბათუმის ნავთსადგურამდე.

ურტყამდი სიტყვას ზღვის აღმუებით  
ცხრაას ჩვიდმეტის გემის ნაღმებზე,  
მაგრამ მოხუცო გულმა ჭაღარამ  
გაყიდა საქმე მეზღვაურების.

ლენინგრადიდან შავზღვის პირამდე  
 ვინ იცის სად არ წამოიჩოქე  
 რევოლუციის შენ ემიგრანტი  
 ზღვაზე გასცურდი და მიიჩქმალე...

აქ ბნელ სიმაღლეთ აიშართება  
 დრო შენს თმებრივით ჩამონაცვენი:  
 მორჩა! ყელს იჭრის სამართებელით  
 ძველი ინტერნაციონალი.

გტანჯავს რიჟრაჟი თებერვალისა,  
 ქვეყნის ნაყოფით ჩამორტოება.  
 გტანჯავს ტფილისი მშრომელ ხალხისა,  
 რომ ზაჭესების არის სატახტო

ასე დაიწყო დრო აღმავალი,  
 რკინის მკლავებით დღეებს ვამარცხებთ;  
 ვდგამთ სასახლეებს მომავალისას  
 ჩვენ დედამიწის მემარცხენენი.

## ჩვენ დარაზმული განთიადები

როგორ ვიზარდეთ, სულ ათიოდე,  
ვიბრძოდით უწინ თავგაწირულად,  
დღეს კი ურიცხვი განთიადები  
ვართ დარაზმული კომკავშირულად.

გულ მკერდი ტყვიით ნაამბორია,  
გვიფეთგდა გული ძალზე გმირულად,  
განთიადივით იდგა ბორია,  
ბარიკადებზე კომკავშირულად

დროშა ათასჯერ იყო დახრილი.  
წითელ რაზმების გატილებ  
დღეში ათასჯერ იყო ძა  
მზის ხელმეორეთ მოვა, ლება,

როგორ ვიზარდე ქსელენი ქსელები  
არ იყო უწინ აადა, შირადა,  
დღეს კი ურიცხვი ბორისელები,  
ვართ დარაზმული კომკავშირულად.



დგას შებორკილი მიწა ბობოლა,  
იწვის, ილევა რკინის ბადეში,  
ბებერ სახეზე ცრემლთა ობობა  
სიკვდილის გრძნობით გადმოეშვება.

ბერდება ცაც და მიწაც ბერდება,  
ლამაზ ქალივით შენც გახუნდები!  
სულ ამოა შენი ვედრება: —  
არ დაბრუნდები, არ დაბრუნდები.

ზღვა სიხარულით მიწას ვადგივართ,  
გულ მძიმე ქედებს ვებრძვით გმირულად,  
წალკით, ლალუმით გვირაბს გავდივართ,  
ჩვენ, დარაზმულნი კომკავშირულად.

ბარიკადებით გადარაზული  
ცხოვრება სისხლით არის ნაბანი,  
განთიადები, ტალღათ რაზმულნი,  
მოვალთ, ათასჯერ დავიბადებით.





სასიხარულოთ გასივრცეებული  
გული სამზეოთ გადაშლილია,  
უჯრედით უჯრედს შეხორცეული  
ჩვენი სამშობლო კომკავშირია.

არ გვიტირია მამის ძვლებზედა,  
სულ სხვაა ჩვენი გულის ნადები;  
გავჩნდებით ისევ ბრძოლის ველზედა  
ჩვენ დარაზმული განთიადები.

გულმკერდი ტყვიით ნაამბორია  
გვიფეთგდა გული ასე გმირულად,  
დავდგებით, როგორც იდგა ბორია  
ბარიკადებზე კომკავშირულად.

14/VIII—27 წ.

ტფილისი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი:

	გვ.
1. თავგანწირული გუშაგი . . . . .	7
2. ბორიას უჯრედი . . . . .	9
3. ჯაშუში . . . . .	11
4. ციხეში . . . . .	14
5. გადასახლება . . . . .	16
6. შემოხვალ ღამით . . . . .	17
7. შენ იდექ მაშინ . . . . .	19
8. გათენება . . . . .	20
9. ჩვენ დარაზმული განთიადები . . . . .	23

ფასი 20 კაპ.



საქართველოს  
ბიბლიოთეკა

ნ 53/231





1993  
2000